N857/19
29.12.16

„საქართველოში საერთაშორისო ზარების ტერმინაციის დროებითი რეგულაციის დადგენის შესახებ“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2014 წლის 9 ოქტომბრის № 571/9 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში ,,კომისია“) აღნიშნავს, რომ კომისიის 2016 წლის 24 ნოემბრის N765/23 გადაწყვეტილებით დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „საქართველოში საერთაშორისო ზარების ტერმინაციის დროებითი რეგულაციის დადგენის შესახებ“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2014 წლის 9 ოქტომბრის №571/9 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის მიზნით“.

საკითხის ზეპირი მოსმენა გაიმართა კომისიის 2016 წლის 27 დეკემბრისა და 2016 წლის 29 დეკემბერის სხდომებზე. სხდომებს ესწრებოდნენ შპს „გუდვილკომის“, სს „გლობალ ერთის“, შპს „მაგთიკომის“, შპს „ალექს დეველოპმენტ ჯორჯიას“, შპს „ჯეოსელის“, შპს „მაიფონის“, შპს „პრემიუმ ნეტ ინტერნეიშენალის“, სს „სილქნეტის“ და შპს „სითი ტელეკომის“ უფლებამოსილი წარმომადგენლები.

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის თანახმად, კომისიის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა: „ელექტრონული კომუნიკაციების საერთაშორისო ან/და რეგიონალურ ბაზარზე ისეთი ვითარების შექმნის შემთხვევაში, რომელიც მნიშვნელოვან და არაგარდამავალ ნეგატიურ გავლენას ახდენს საქართველოში ელექტრონული კომუნიკაციების ბაზარზე მოქმედი ავტორიზებული პირების საქმიანობაზე, ამ მნიშვნელოვანი და არაგარდამავალი ნეგატიური გავლენის აღმოფხვრამდე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით მიღებული დასაბუთებული გადაწყვეტილებით ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მოქმედი ყველა შესაბამისი ავტორიზებული პირისთვის სათანადო, ეფექტიანი რეგულაციების დადგენა“. აღნიშნული მიზნებისთვის კომისიის 2014 წლის 9 ოქტომბრის № 571/9 გადაწყვეტილების შესაბამისად, საერთაშორისო ზარების ტერმინაციის დროებითი რეგულაციის, კერძოდ კი ურთიერთჩართვის ტარიფისაგან განსხვავებული ტარიფის დადგენის ძირითად საფუძველს წარმოადგენდა:

1. ავტორიზებული პირების უცხოურ კომპანიებთან ანგარიშსწორებისას დისბალანსის მაქსიმალური შემცირება (განსაკუთრებით რეგიონში არსებულ ქვეყნებთან, როგორიცაა რუსეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი, ბელორუსია, უკრაინა, თურქეთი);
2. ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მოქმედი ყველა შესაბამისი ავტორიზებული პირებისათვის სარგებლის მომტანი გადაწყვეტილების მიღება.

კომისია აღნიშნავს, რომ საერთაშორისო ზარების ტერმინაციის დროებითი რეგულაციის შედეგების ანალიზის და განხილვის მიზნით კომისიაში გაიმართა არაერთი შეხვედრა როგორც მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირების, ასევე ტრანზიტულ ოპერატორების მონაწილეობით. განხილვებისას აღნიშნა, რომ საერთაშორისო ზარების საქართველოში ტერმინაციის დროებითი რეგულაციის შედეგად ავტორიზებული პირების შემოსავლები გაიზარდა, რამაც თავის მხრივ უცხოურ კომპანიებთან ანგარიშსწორების დისბალანსი შეამცირა. ამასთან ერთად, სხვადასხვა მიზეზების გამო, საქართველოში შემომავალი საერთაშორისო ზარების მოცულობის პერმანენტულმა შემცირებამ კრიტიკულ ზღვარს მიაღწია, რაც დასტურდება კომისიის მიერ ჩატარებული საერთაშორისო ზარების 2016 წლის 11 თვის სტატისტიკური მონაცემების ანალიზის შედეგებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კომისიას მიაჩნია, რომ 2014 წლის 9 ოქტომბრის №571/9 გადაწყვეტილებით დადგენილი პირობებითა და მოქმედი ფორმით არსებული რეგულაციის გაგრძელება მიზანშეწონილი არ არის. ამავე დროს, კომისია გამოთქვამს მზადყოფნას, გააგრძელოს მუშაობა ავტორიზებულ პირებთან ერთად ოპტიმალური შედეგის მომტანი დროებითი რეგულაციის მოდელის შექმნის მიზნით.

კომისია ითვალისწინებს, რომ ავტორიზებულ პირებს პარტნიორული ურთიერთობები აკავშირებთ უცხო ქვეყნების ოპერატორებთან და მომსახურების პირობებში ცვლილებების შეტანას

გარკვეული დრო ესაჭიროება. შესაბამისად, კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია ავტორიზებულმა პირებმა უზრუნველყონ მომსახურების გაწევა კომისიის 2016 წლის 30 ივლისის №446/19 გადაწყვეტილების შესაბამისად გამოქვეყნებული მოწვევის ოფერტების პირობებით 2017 წლის 1 მარტამდე.

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის „პ" ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 120-ე მუხლის შესაბამისად, კომისიამ კენჭისყრის შედეგად, გადაწყვეტილების პირველ პუნქტთან დაკავშირებით ერთხმად, ხოლო მე-2 და მე-3 პუნქტებთან დაკავშირებით ხმათა უმრავლესობით (მომხრე: კომისიის თავმჯდომარე ვ. აბაშიძე, კომისიის წევრები: გ. ფრუიძე, კ. ბექაური, წინააღმდეგი: კომისიის წევრი ე. ასანიძე)

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. არ იქნას გაგრძელებული ,,საქართველოში საერთაშორისო ზარების ტერმინაციის დროებითი რეგულაციის დადგენის შესახებ" საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2014 წლის 9 ოქტომბრის №571/9 გადაწყვეტილების მოქმედების ვადა;

2. მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულმა პირებმა საკუთარ ქსელში საერთაშორისო ზარების ტერმინაციის მომსახურების გაწევა 2017 წლის 1 მარტამდე უზრუნველყონ „საქართველოში საერთაშორისო ზარების ტერმინაციის დროებითი რეგულაციის დადგენის შესახებ" საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2014 წლის 9 ოქტომბრის №571/9 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე" კომისიის 2016 წლის 30 ივლისის №446/19 გადაწყვეტილების შესაბამისად გამოქვეყნებული მოწვევის ოფერტების პირობებით;

3. დაევალოთ მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირებს, შპს ,,ჯეოსელს", შპს ,,მაგთიკომს", შპს ,,მობიტელს", სს „სილქნეტს", შპს „ახალ ქსელებს", შპს „ახტელს", შპს „ივერია ქსელს", შპს „საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაციას", ინფორმაციის გამჭვირვალობის სპეციფიკური ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, 2017 წლის 1 მარტამდე შესაბამისობაში მოიყვანონ მათზე დაკისრებული სპეციფიკური ვალდებულებების პირობებთან და კომისიაში წარმოადგინონ გამოსაქვეყნებლად 2017 წლის 1 მარტიდან საკუთარ ქსელში საერთაშორისო ზარის დასრულების მომსახურების შეთავაზების წინადადება (მოწვევის ოფერტა);

4. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს მისი სარეზოლუციო ნაწილის კომისიის სხდომაზე გამოცხადებისთანავე;

5. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6) ერთი თვის ვადაში;

6. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის სატელეკომუნიკაციო ბაზრის რეგულირების დეპარტამენტს (დ. გოგიჩაიშვილი).

კომისიის თავმჯდომარე	ვახტანგ აბაშიძე
კომისიის წევრი	ელისო ასანიძე
კომისიის წევრი	კახი ბექაური
კომისიის წევრი	გიორგი ფრუიძე